საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 28 მარტი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ალითება

ფასი 75 კაპ.

№ 70 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 70

ფასი ერთ დღის: 1 თვით 18 მანეთი ნახევარ წლიერი ეღირება 75 კაპ. განცხადებების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ ინთქმება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ეკან ვერ ვაუბარებენ და ამის შესახებ არავე პასუხ-მოწერის კისრულობს.

ხელის მოწერილობა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თბილისი, ფოსტა ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადგილ ესენი გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკე შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, ბოლოდარის ბრალიგზეტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ლრიალ დაბუბუნებულნი: „ძეულლი ხინა, ძმები: მდიდილი ივანე და გიორგი, რძლები: ბარბარე და საშა შოშიაშვილები, ლები: საშა, ნატალია, ოლღა და მინადორა ჩვილებითურთ და დიდწული ალბროსი შანშიაშვილი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-კოლეგებს და ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარის მასწავლებლის

სოლომონ ლავრენტ'ს ძე შოშიაშვილის

უცრათ გარდაცვალებას, გვამის გაცვლა ეღირება მარტის 29 ღილის 10 საათზე, სოლო დაკრძალვა სოფ. ვაქირის ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში.

გამოსულია გასასყიდად ნოვალეგის პრეგული

დ. თუარდოსპირელისა

„განყვეტილი ზღაპარი“

ფასი 5 მანეთი

საწყობი წიგნის ბაზ. „ალბ[illegible]“ [illegible] № 6 (5—2)

ანარქიის საფრთხე

გუშ ნ ჩვენ დავგეთ თეფ ლისის თვითმართველობის მოსამსახურეთა სეპარატიული გამოსვლა, რომელსაც ეხლოლ ზიანის მოტანა შეეძლო დემოკრატიისთვის და რომელიც სწორეთ ამიტომვე დაგეს თვით პროფესიონალურ კავშირთა ცენტრის წარმომადგენლებმა.

მაგრამ თუ გადიცვა, როგორც საშუალება მათი მდგომარეობის გაუმჯობესების, იმ კონკრეტულ პირობებშ, რომელშიაც მას ქონდა ადგილი, მიზანშეუწონელია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებელი არც სხვა ზომები და საშუალებანი [illegible].

პირიქით, ჩვენ ვგმობთ რა ამ საშუალებას, როგორც ამ პირობებში უვარგისს და მიღებულს, ვვინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მშრომელთა იმ ატანილ მდგომარეობას, რომელშიაც ისინი იმყოფებიან. წარმოდგენილია მუშა კაცს მდგომარეობა. ჯამაგირი მისი, რაც უნდა დიდი თანხით ისაზღვრებოდეს, ძველთან შედარებით, ვერაფოდეს ვერ დაეწევა სპეკულიაციის გაღვ ძებულ მადას, მათ ფასების უზომოთ აწევას. პირიქით, იგი ერთი ორათ წინ უსწრებს, ეჯიბრება ხელფასის მომატებას. და ჩვენ წინ იშლება ასეთი სურათი: ხელფასი იწევს ორმოცი, ან ორმოცდათი პროცენტით, ყოველ სურსათს დაუყენებლივ ემატება ასი პროცენტი. ხელფასის მომატებას და ამ მომატებულით გამოწვეულ ხარჯებს ერთი-ორათ აინაზღაურებენ მწარმოებელნი, ვაჭრები, სპეკულიანტები. და ამრიგად თვით გაფცვეთ, ბრძოლით, ოფლით მოპოვებული მომატება ხელფასის იქცევა არა წყაროთ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ გაუარესების. კიდევ მეტი, იგი ხდება მიზეზთ მდგომარეობის უფრო გართულების. იგი სცემს ფულის ფასს, ჯოტრებს ამით თვითმართველობებს, სახელმწიფო ხაზინას, ავადმყოფებს მათ უზომოთ და უფასურულის პირუ მოყვს თვით ხალხი, მისი თავისუფლება, მისი არსებობა.

ბოლოს და ბოლოს დემოკრატიას ერთათ ერთი საშიში მტერი ყავს. ეს გახლავთ სპეკულიაცია. ეკონომიური ცხოვრების არევ დარევა, ხელოვნურათ, თუ გარემოებათ გამოწვეული ანარქია ვაჭრობა მრეწველობაში. და ეი აქეთ უნდა იქნეს მიპყრობილი ყურადღება მართველობის, ამაზე უნდა იზრუნონ ყველამ, ვისაც სურს ჩვენი ქვეყნის ხსნა და გადარჩენა დაღუბისაგან.

მუშათა მდგომარეობა ვერ გაუჯობესდება, სანამ ამ ვაჭ ნილის ბოლო არ მოეღება. მუშები ამ მ ლს ვერ ასცდებიან, ხელფასის აწევით, თუ სპეკულიაცია არ შეიზღუდა. და ყოველი ზომა ამ საშ ნელი ეპიდემიის წინააღმდეგ მიმართული, ამ სენის შემასუ ტებელი, ამის იმავე დროს მუშათათვის ყელში წაჭერილი ბაწ ის ამოშვება, მათი სუნთქვის გაადვილება.

თვით შრომის ნაყოფიერების ზრდაც შეუძლებელია იქ, სადაც შიმშილი გამეფებულა.

სპეკულიაციით და გაუმაძღრობით ვაჭარ მრეწველთა კლასი თვით ამზადებს ისეთ ხანის მოახლოებას, როცა ცეცხლში გაეხვევა ისიც, რაც დემოკრატიას აქვს და ისიც, რაც მათ სპეკულიაციით შეუძენიათ, დაუგროვებიათ.

ანარქიის საშინელი ჩრდილის წინაშე სდგას ჩვენი ქვეყანა, ანარქიის, რომელიც წარმოსდგება არა შეუგნებლობისაგან, არამედ შიმშილისაგან. „შ ი ერი ბუნტები“ გახდება ის საშინელი შ ერისმგებელი, რომელსაც ვ ბრები არ მოელიან: დღეს სანოვაგით სავსეა ქალაქი. ყოველი სურსათი იმალენია, რომელიც ქალაქს ოდათ ეყოფა. მაგრამ, საკმარისია თვითმართველობის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დროებით შემოელიის რომელიმე ნაწარმოები—პური, ან ბაკალი, ან სხვა სანოვაგე და მისი [illegible] ბაღლა გასაცვლელი სიმარდით. ვაჭართა შორის არის მხოლოდ ერთი კონკურენცია, კონკურენცია ფასების აწევის, არ ებობს ერთი შეჯიბრება საჭონლის გაძვირებაში. ნორმალური, ჩვეულებრივი სისტემა კონკურენციის შეცვლილია, შებ ჭუნებულია ბრძოლა საჭონლის გაძვირებისათვის ვ ბრთა შორის, ხშირათ ფარული, ჩუმი შეთანხმება. ხანდისხან ბაკარა მოთხოვნა „მოძმ საგან“ ფასები აუწიოს, რომ „მეზობელი“ არ აზარალოს.

და ეი ასეთი მდგომარეობა ქმნის იმ გრძნობას შფრთხობისას, რომელიც მიუცილებლათ მაქსიმალისტურ სულისკვეთების გაძლიერებას უნდა მოყვეს და ყველ ფერი მიანგარ მოანგრიოს.

მუშათა მდგომარეობა ატანელი ხდება. ქვეყნის მანელი ფრონტზე, ქვეყნ ს მარჩენალი შინ—რეკოლექციის მესვეური—თავის უფლებისთვის მებრძოლ, ში მშ ლს კალაპეში ვერ ტევლვს სულს მონურათ. ნუ თუ არ ესმით იმათ, რომელნიც დაურბევიებია ფულების ფურადებს და გ ბდილრების უანგარიშო თავდაყ ნებას?

და თუ არ ესმით, მათ მოაგონებს „ზავი დღეები“, რომელიც ერთის დაკვრით გაქრობს მათი „იმედების“ ყოველ წყალოს, სათაყეს.

რუსეთის ბალშევიზმმ გაზარდა და დაავ ტკაცა რუსეთის ბურჟუაზ ა წრეების თ ვბედურმა საქციელმა დემოკრატიის ხვედრის გაუარესებაში.

საქართველოს დემოკრატიასაც იგივე თავბედობა ადგილობრივი სპეკულიანტ ბა გამოიყენეს მოთმინებ დან ჩვენ არ ვართ, ცხადია, ბოლშევიზის ანარქიის მოტრფიალე. ჩვენ ვხედავთ ამ საშინელების საფრთხეს და ჩვენ ვფიქრობ ლ ბთ საზოგადოებას და მთავრობას. საზოგადოებამ, მისმა შეძლებულმა ნაწილმა უნდა მიიღოს ზომები მუშათა მდგომარეობის გასაუჯობ ებლათ. თუ მათში არის ელემენტი საზოგადოებრივი ინსტ ქტით და შეგნ ბით, მათ უნდა ითავონ ამ უზომო სპეკულიაციის შენელება მთავრობამ თავის ხმრივ უნდა მიიღოს ზომები მრეწველობისთვის შედარებით უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ.

ორიმ რიდეს ც მოვა სტიქიური ძალა ქვეყ დან, რომელსაც გაწყვეტა მოთმინ ბ ფ ალა, მაშინ გვიანლა იქნება ითხ ბინ ბი. საზოგადოების შეძლებულმა ნ ნ ლმა უნდა გიიღოს „მ ხვეპალი“ ქონებ თ, მთავრობამ უნდა გ ლ ბინის ეი „ბსხვერპლი“, უნდა მოაკლდეს მათ შეგატების ზრდა, და მოსპ ბ ლ ბ ბ ბ

ᲓᲦᲔᲡ

რუსეთის კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობამ დაადგინა მეტი ყურადღებით მოეპყრან ხოფლად მუშაობის დროს საშვალო შეძლების გლეხობას, თუ ეს გლეხები გარჩეული არ იქნებიან ჩარჩ-გლეხებისაგან,—ეს იქნება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის და კომუნიზმის პრინციპის დარღვევა.

გერმანული პრესის ცნობით, უნგრეთის ახალმა მთავრობამ ხალხში მტკიცე ნიადაგი მოიპოვა. ბუდაპეშტში სრული სიწყნარე და წესრიგია.

დანციგში ჩავიდა საფრანგეთ-პოლონეთის კომისია იქ პოლონეთის ჯარის გადაყვანის მოსამზადებლათ.

ვარშავაში მთავრობის ჯარსა და მუშებს შორის შეტაკება მოხდა. არის მსხვერპლი.

პოლონეთის ხეიმმა საგანგებო კომისია აირჩია, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს პოლონელ-ებრაელთა დამოკიდებულები.

მანეთი, როდესაც მისი ფასი 10—12 მანეთიც საკმაო იქნებოდა?

ასეთი ფასების დადება სპეკულიაციისა და მას ბრძოლა უნდა. უნდა აილაგმონ ისინი და მაშინ ასეთი სიძვირე ადარ იქნება. მე არ ვამბობ—სიძვირეს მოსპობთო, მხოლოდ შეიკავებთ და ესეც დიდი შედეგითი იქნება მოქალაქეთათვის.

გაზეთ „ერთობაში“ წერილი იყო მოთავსებული, საცა ის აზრი იყო გატარებული, რომ სურსათი ნაკლებია ბაზარზე და სიძვირეც ამით არსსნებიო. ამას ვერავითარი უშველის, ვერავითარი ორგანიზაცია ვერას გახდებიო. ჩემის აზრით, ეს არ არის მართალი. ბაზარზე სურსათის გამრავლება ძნელია, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სპეკულიაცია გაძვირებაში დიდ როლს თამაშობს. სპეკულიაციას ებრძვის მთავრობა და მასვე უნდა ებრძოდეს მოქალაქეენიც. ბრძოლა კი სპეკულიაციასთან თხოულობს ორგანიზაციას. ან უნდა შეიქმნას ახალი ორგანიზაციები, ან არსებულმა ორგანიზაციებმა უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს. მოქალაქენი და ყველა არსებული ორგანიზაციები თუ აიმაღლებენ ხმას სპეკულიანტთა წინააღმდეგ, ამას უეჭველად გავლენა იქნება მათზე და ისინი იძულებულნი იქნებიან ფრთა შეაკვეცონ თავიანთ თავაშეგებულობას.

წვავებულია და საჭიროა მას მეტი ყურადღება მიექცეს.

მეთვალყურე.

ᲓᲔᲙᲔᲣᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა საგენტო)

27 მარტი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ჰამბურგიდან გერმანულ გემების გასვლას დიდი დაბრკოლებები აღარ ელობებიან. მეზღვაურთა დაქირავების საქმე კარგათ მიდის. შაბათამდე გავიდა 15 გემი. მრავალი კიდევ მზათაა წასასვლელათ. ბევრმა სანავთსადგურო ქალაქებმა განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგი აზრის არიან. ჰამბურგში მიტინგზე იმით დასაბუთეს ეს, რომ არ ენდობიან მოკავშირეთა დაპირებებს გემების დაბრუნების. გერმანიის, სურსათით უზრუნველყოფის და გაყვანილ გემების მეზღვაურთა ბედის შესახებ.

უნგრეთთან პირდაპირი დამოკიდებულება ჯერ არაა აღდგენილი. იქიდან მოსულ ცნობების თანახმად უნგრეთის მთავრობამ მტკიცე ნიადგი მოიპოვა. იუწყებიან, რომ ბუდაპეშტში სრული სიწყნარეა და წესრიგი. მრავალი სავაჭრო ბანკები დაკეტილია. რევოლიუციონურ მთავრობის საბჭომ აკრძალა ქუჩებში იარაღის ტარება. ყვირას უნდა შემდგარიყო უნგრეთის სოციალ. პარტიის დიდი კრება.

ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მარტის 20. გაზეთ „ტაგანროგის ვესტნიკში“ დაბეჭდილია ატამან ბოგაევსკის და გენერალ პოკროვსკის მიერ ყაზახთა წრის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა. ბოგაევსკი ამბობს: ფრონტიდან მოსული ცნობებიდან სჩანს, რომ ჩვენი მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ უიმედო არ არის. ჩვენს დასახმარებლად ჯარი მოდის. **პეტროგრადი.** მარ. 26. პეტროგრადის ტყვეულობის კომ. ტრტმა აუცილებლათ სცნო გუბერნიებში ყველა ტყვის მცირე ქარხნების ლიკვიდაცია მოახდინოს და თავი მოუყაროს მთელ წარმოებას დიდ ქარხნებში, რომელნიც უკეთესად იქნებიან მოწყობილნი და უზრუნველყოფილნი ნედლი მასალით. **პეტროგრადი.** მარ. 26. დაიწყეს რუსეთის და ფინეთის სამოქალაქო ტყვეების გაცვლა-გამოცვლა. ეს საქმე დაევალა დანიის წითელი ჯვრის მისიას, რომლის წარმომადგენელი უკვე გელსინგფორში გაეგზავნა. **დანციგი.** მარტის 19. როგორც „დანციგერ ცაიტუნგი“ იუწყება, ვარშავიდან ჩამოვიდა საფრანგეთ-პოლონეთის კომისია დანციგში პოლონეთის ჯარის გადასხმის მოსამზადებლათ. **ვარშავა.** მარტის 21. მთავრობის ჯარმა მუშები დაჭერა. მთავრობის აგენტების პროვოკაციულ სროლის შემდეგ ჯარმა ტყვეის მფრქველებიდან დაუშინა მუშებს. მსხვერპლი დიდია. **ვენა.** მარტის 19. გერმანულ გაზეთების ცნობით ვენის მუშათა საბჭოებმა დაადგინეს მოხდეს ვაგონის მკეთებელ და სხვა ყველა ქარხნების და ბანკების სოციალიზაცია. ბურჟუაზია ვენას საჩქაროთ სტოვებს. **ლონდონი.** მარტის 17. „ტაიმს“-ი იუწყება, რომ გაანთავისუფლეს აგიტაციისთვის დაპატიმრებული იტალიის სოციალისტების ბელადები, მათ შორის გაზ. „ავანტი“-ს редактორი გრატი. განთავისუფლებულნი თებერვლის 28 ტურინის ციხიდან გაემგზავრენ რომის პალატაში, სადაც მათ აუარებელი მუშა დახვდა. გამართა მიტინგი. ილაპარაკა ფერატიმ და სხვა ორატორებმა, რომლებმაც მოუწოდეს ხალხს მიერთონ რუსეთის მაგალითს. **ბერლინი,** მარტის 20. ბერლინის პრეს-ბიუროს ვაშინგტონიდან აუწყებენ, რომ პოლიციამ აღნიშნა ბალშევიკურ აგიტაციის ზრდა ამერიკაში. მუშათა შორის ფიხს იკიდებს აზრი რუსეთის მაგალითი საბჭოთა ამერიკის შექმნის შესახებ. ხტოკჰოლმი, მარტის 23. ინგლისის რკინის გზის მოსამსახურეთა კონფერენციამ უარყო მთავრობის წინადადება შეთანხმების შესახებ. მოსალოდნელია რკინის გზის გაფიცვა. **ვარშავა,** მარტის 18. პოლონეთში მუშათა ორგანიზაციები იზრდებიან. პოლონეთის დიდი ქალაქების საბჭოთა ყრილობამ 3. ს. დახმარებით ერთხმათ გადაწყვიტა გამოაცხადოს საერთო გაფიცვა. მაგრამ უკანასკნელ წუთს 3. ს. ვარშავის საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ის გადაწყვეტილებას არ ეზიარება და გაფიცვის არ მიემხრობა, საბჭომ 22—23 მარტს გაფიცვები მაინც გამოაცხადა, მაგრამ 3. ს. დალატის გამო გაფიცვა უშედეგოთ დასრულდა. **ვარშავა,** მარტის 21. პოლონეთის სოციალისტური პარტია ამ ერთათ მწვავე შინაურ კრიზისს განიცდის, იმის გამო რომ პარტიის რამდენიმე ცნობილმა ბელადმა მეშარეხინე პოზიცია დაიჭირა ფრაქციის უკანასკნელ სხდომაზე. პარტიას ცენ. კომიტეტმა პარტიულ მუშაობას ისინი მოაცილა, რის გამოც ქალაქის კომიტეტის კონფერენციიდან ნახევარი წარმომადგენელნი დამსტრარებმა შეადგინეს დამოუკიდებელთა ცალკე ჯგუფი, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

კიევი, მარტის 24. იუწყებიან, რომ გალიციაში აჯანყება ფართო ხასიათს იღებს. აჯანყებულების წინააღმდეგ გაგზავნილი მთავრობის ჯარი მათ მხარეზე გადადის. **მოსკოვი,** მარტის 27. რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე 8 ყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ ნიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის დამოკიდებულებას საშუალო შეძლების გლეხებისადმი: მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრან მათ საჭიროებას და მოსპონ ადგილობრივ ადმინისტრაციის მათდამი მკაცრი მოპყრობა. თუ ეს გლეხები გარჩეული არ იქნებიან ჩარჩ-გლეხებისაგან,—ეს იქნება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის და კომუნიზმის მთავარ პრინციპების დარღვევა, რადგან ბრძოლის ხანაში საჭიროა პროლეტარიატი შეუთანხმდეს საშუალო შეძლების გლეხობას, რაც სხვა გარეშეებასთან ერთად ხელს შეუწყობს ყოველგვარ იმპერიალიზმის აცილებას. ყოველგვარ ამხანაგობათა და სასოფლო სამეურნეო კომუნების შექმნას ხელი უნდა შეუწყონ მაგრამ ძალდატანებას არ უნდა მიემართოთ. ყრილობა ადგენს, რომ შეუბრალებლად უნდა იდევნებოდნენ თეთინენბური რევიზიონიები, განსაკუთრებული გადასახადები მთელი თავისი სიძვიმით ჩარჩ-გლეხებს უნდა დაეწვეს. საშუალო გლეხებს დიდი გადასახადები არ უნდა დაედოს. საჭიროა ულარიბეს და საშუალო გლეხებს ყოველგვარი რელიური დახმარება აღმოეჩინოს. განსაკუთრებით მელიორაციო საშუალებით სასოფლო-სამეურნეო იარაღით, სათესლეთი და სხვა. პოლიტიკურ პროპაგანდის და საკულტურო და საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მუშაობა მიმართულობით უნდა სწარმოებდეს. კომუნისტური პროპაგანდა საერთო განათლება და სასოფლო-სამეურ. განვითარება პროპაგანდა უნდა სწარმოებდეს, როგორც კითხვის მცოდნეთა, ისე არ მცოდნეთა შორის პირველ რიგზე უნდა იდგეს ლიტერატურის გავრცელება, უნდა მიეწყოს კურსები ბავშვთათვის და სრულ წლოვანთათვის. წერა-კითხვის უცოდინართათვის უნდა გაიმართოს კითხვა, პარტიამ ბელი უნდა შეუწყოს სახალხო სახლების მოწყობას, საბჭოთა შკოლების და ფერმების სასოფლო სამეურნეო განათლების ცენტრად უნდა გადაიქცეს. შკოლა

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ, მარტ. 20. მიუნხენის კომუნისტებმა ბავარიის ცენ. საბჭოს წარუდგინეს რეზოლიუცია ლანდტაგის მოწვევის წინააღმდეგ და მოითხოვეს პროლეტარიატის დიქტატურას. **პარიზი.** მარტ. 18. პარიზის გაზეთ „ტანიო“ ცნობით ინგლისის რკინის გზის მუშებში 8 საათის სამუშაო დღე ძალაში შევიდა. მარტიდან ჯამაგირებიც შეიცვლება. **ვარშავა,** მარტ. 24. სექციის უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს კანონპროექტი განსაკუთრებულ კომისიის შესადგენ ებრაელთა და პოლონელთა დამოკიდებულების მოსაწესრიგებლათ. ამ უკანასკნელ ხანებში პოლონეთში სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვები და აგრარული არეულობა დაიწყო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი შეუდგა ლტოლვილთა ევაკუაციის და რამოდენიმე ეგზონით უკვე გაგზავნა ლტოლვილები თავიანთ სამშობლოში. კომიტეტი შეუდგა ლტოლვილთა რეგისტრაციას, ვინაიდან ბევრი ოჯახი არ იყო გამოკვლეული ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ. ამავე კომიტეტმა გაგზავნა თავისი პრეზიდიუმის წევრი ბუკშტეინი ახალციხე-ახალქალაქ და ბორჯომში ლტოლვილთა მდგომარეობის გამოსარკვევად და მათ დახმარების საქმის წესიერად მოსაწყობად. კომიტეტმა მიიღო ზომები, რომ თფილისის ქუჩები განიწმინდოს მათხოვრებისაგან.

◆ **ᲜᲐᲮᲘᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲨᲐᲠᲣᲠᲘᲡ** მთავრობამ დაადგინა საკუთარი ჯარი მოაწყოს, რისთვისაც ბაქოდან გამოწვეულ იქნენ ადერბეიჯანის ოფიცრები.

◆ **ᲮᲝᲛᲚᲘᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ** დადგენილებით, ხომლითის ახალი პარლამენტის არჩევნები მაისში მოხდება.

◆ **ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡᲨᲘ.** 26 მარტს ქალაქის ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის ადმ. კომიტ. წევრმა კულიკოვმა ითხოვა, პრეზიდიუმმა მოიწვიოს საერთო კრება ტრამვაის მოსამსახურეების, რათა გაშუქებულ იქნას გაფიცვის მიზნებიო. პრეზიდიუმმა დადგინა: არავითარი კრება არ იქნას მოწვეული, თუ ამას არ მოითხოვს ცენტრალური პროფ. კავშირი.

◆ **ᲮᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲜᲘᲠᲘᲡ** ახალრეული შრომის [illegible] კის მთავრობის დადგენილებისა, 11 თებერვლიდან მდგომარე წლისა, საქონლის ასაცილო ერთ ლიტრა შრატზე დაწესდა 250 მანეთი ფასი. ამიერიდან სოფელმა, ფერმამ, ან მთელმა სოფლის საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს უწყებული ფასი საქონლის ასაცილო შრატში, აქამდე კი შრატი ეძლეოდათ ფასოთ. ეს ზომა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შრატის დამამზადებელი ქუთაისის სადგური განიცდის დიდ უსახსრობას და სახელმწიფო ხაზინაც ძალურია ფულით დახმარება აღმოუჩინოს მას. სათანადო ინსტრუქციები უკვე დაეგზავნათ ყველა ერობებს და შრატის დამამზადებელ ქუთაისის სადგურს.

◆ **ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲗᲐ ᲮᲐᲣᲧᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ.** საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ომშა დაჭრილ დასახჩრებულთა კავშირის გამგეობა ამით აცხადებს თავის წევრების საყურადღებოთ, რომ კავშირის სამართველოში (პეტრეს ნოვის პროსპ № 139) პირველ აპრილიდან დაიწყებს მოქმედებას „წოსამზადებელი კურსები“, სადაც წევრებს უსასყიდოდ შეეწავლიან წერა-კითხვა და აგრეთვე მეურვეთ, წერა-კითხვის მცოდნეთ წოამზადებენ საშვალო სასწავლებლის ოთხი კლასის მოწმობაზე. მეცადინეობა იქნება საღამოობით. კურსებზე ჩაწერა შეძლები კავშირის მდივანთან ყოველდღე 9—3 საათამდე.

◆ **ᲮᲐᲣᲑᲜᲝ ᲮᲐᲡᲣᲠᲡᲗᲐᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ** პირველ რიგისა აცხადებს, რომ კვირას, 30 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია საერთო კრება ამ რაიონში მცხოვრებლებისა ნაძალადევის თეატრის შენობაში პურის გამოცხობის შესახებ საკუთარ საცხობში.

◆ **ᲚᲔᲥᲪᲘᲐ.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ახალხო უნივერსიტეტის პირველ განყოფილებაში (ნაძალადევი) დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1) ალ. ეორეულიანისა, „ფსიქოლოგია“, 2) კ. ქაუთარძისა, „ისტორია“.

◆ **ᲙᲠᲔᲑᲐ.** შაბათს, 29 მარტს, საღამოს, ლექციების შემდეგ, მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. დემოკრ. სტუდენტთა კრება. დასწრება საგალდებულოა.

◆ **ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲒᲐ.** 26 მარტს, საღამოს 10 საათზე, ანანურის ქუჩაზე, № 8, კ. ჩაჩავას ბინაზე შეეკრა რამოდენიმე ბორტგანმწირველი და სიკვდილს მუქარით წაართვეს 26,000 მანეთი ფულად და 10,000 მანეთის ნივთები.

◆ **ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲒᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ** სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა გუდაუთიდან: გუდაუთის მუშათა კლუბში გამართულმა მიტინგმა, ეროვნების გაბურჟუაზიელებათ, მოისმინა რა დამფუძნებელ კრების წევრის ფარნიევის მოხსენება მომენტზე, ადგინა მიეხალმოს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და დამფუძნებელ კრებას თქვენი სახით და მზათაა მზარი დაუჭიროს მას დემოკრატიული პრინციპების გატარებას ცხოვრებაში. მიტინგის თავმჯდომარე გოგიჩაიშვილი.

◆ **ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲨᲘ.** ქალაქის კოოპერატ. მოსამსახ. მოეწყობა ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში 30 მარტს. სპეციალისტები აუხსნიან ექსკურსანტებს მცენარეების ცხოვრებას, დასვენების დროს გაიმართება საუბარი კოოპერატიული ცხოვრებიდან. მონაწილეთ თან უნდა წაიღონ საუზმე და ბაღში უნდა შეეკრიბნენ დილის 10 საათზე.

◆ **სკ. ს. დ. მ. პ.** თფილისის კომიტეტმა მიიღო საარჩევნო ფონდის ჯასაძლიერებლათ ამხ. კუკულავას მიერ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი ფული—166 მ. და 64 კაპიკი.

ᲙᲐᲛᲐᲠᲘᲜᲘ

კვირას, 30 მარტს, დილის 10 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, (მიხეილის ქუჩა № 91) შესდგება წლიური საზოგადო კრება სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრებისა.

— შაბათს, 29 მარტს, დილის 4 საათზე ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში დანიშნულია მე 4 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს. მე 6 რაიონის კოლეგიტეტის ახალ ბინაზე დანიშნულია ამ რაიონის ქალთა ორგანიზაციის სხდომა.

— დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე, დანიშნულია ახ. მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტის კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, 19 თებერვლის ქუჩაზე, ნიკოლოზის ეკლესიის შენობაში მე 8 უბანში მცხოვრების პარტიის წევრების კრება შესდგება.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

Ბ. ᲑᲐᲠᲜᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ. (ქართლი). თფილისის დეპოს საშეედლო ცეხში მომუშავე მიხეილ ინდრიას ძე ბარნაბაშვილმა სოფელ ბარნაბიანთკარის სკოლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ თავის ამხანაგებში შეაგროვა 45 მანეთი. ამ ფულით უკვე სამ წავლებლის სახელზე გამოვიწერეთ საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, როგორც მცირე წლოვანთათვის, აგრეთვე მოზრდილთათვის.

ᲮᲐᲛᲢᲐᲚᲔᲓᲘᲐ. ს. ფ. ტ. კანტორაში არსებობს სამკითხველო, რომელიც ყოველგვარი გაზეთები მოსდის, მაგრამ, როგორც კი მიიღებს გაზეთებს სამკითხველო, იმავე საათში გაიტაცებენ და თავის ადგილას ვერც ერთ გაზეთს ვეღარ ნახავთ. საჭიროა ზომები იქნას მიღებული.

ᲫᲕᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ (გურია). მიხეილ ამბაკოს ძე გოგიბერიძემ თავისი ძმის ამბისალოს ხსოვნის აღსანიშნავად შესწირა ქვეყნიერების სამკითხველოს 72 მან.

ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲙᲣᲚᲗᲐ ᲫᲔᲒᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

(ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მოწოდება)

მტკიცედ იცავდა რა პრინციპს კულტურული მიზნების ცხოვრებაში განსახორციელებისას, წ. კ. გ. ს. გამგეობამ 1916 წელს დაარსა საგანე-პანთეონი იმ მოქალაქეთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომელთაც გაუწიეს დაუფასებელი სამსახური სამშობლოს და ამით დაამსახურეს შთამომავლობის ყურადღება-თანაგრძნობა. ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღმშენებელთა რიცხვს აუცილებლად იკუთვნიან ქართველი მეომარნი-გმირნი, რომელთაც თავისი სისხლით დაცვეს საქართველოს ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ამ ერისადაც ზედ არიან მედგრათ ებრძოლნენ სამშობლოს დიდებისათვის.

დიდება გმირთ, რომელნიც გადაურჩენ საშინელ ომს, მადთვის, რასაკვირველია, მთავრობა იზრუნებს.

მაგრამ დიდება მათაც, რომელთაც გმირულად დასდვეს თავი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მათი ნეშტნი ღირსია საზოგადოების ყურადღებისა.

ბევრს დღეუკულს მებრძოლს ღირსა დაკარგვა სამშობლო ხმარეში შესაფერის პატივისცემით. მახლობელთა ცრემლით მოირწყო მათი საფლავი, მაგრამ ბევრს ვერც ეს უკანასკნელი ნუგეში ხვდა. მათი ძვლები გაფანტულია სპარსეთსა და ოსმალეთის უცნობს მთიანეებში, პოლონეთ ლიტვის მინდვრებზე და კარპატის მთებში. მათი სახელი უნდა აღინიშნოს ჩვენს ისტორიაში. ჩვენ ვალდებულნი ვართ საკუთარ ხსენება შეუთვალოთ მათ.

ქართველნო! ნუ დავივიწყებთ მამაპაპათაგან ნაანდერძევ კეთილშობილურ ადათს. შეეერთდეთ ერთი გრძნობით, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ სახელი ჩვენის ძმებისა, რომელთაც დადვარეს სისხლი სამშობლოსათვის და რომელიც გაახსენებს ჩვენს შვილებს, რომ თანამედროვენი დიდი ფასსებენ მოძმეთა დვაწლს და მათ ქვეყნობაზე აშენებენ თავიანთ მომავალ ბედნიერებას.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ სხვათა შორის დაისახა მიზნათ როგორც ერთი აღმრზდელობითი საშუალებათაგანი გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სავანე პანთეონის მოწყობა და ამ მიზნით შეიძინა თფილისში, ისტორიულის დიდუბის ეკლესიის გალავანში ადგილი. რა თქმა უნდა, სწორედ აქ უნდა დეეთმოს ადგილი სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულ გმირთა მარად მოსაგონებლად ძეგლს. ამ დიდებულს აზრს არ უარჰყოფდა არც ძველი მთავრობა და მით უფრო არც ეხლანდელი მმართველნი ჩვენის ქვეყნისა.

ამ ძეგლის გარეგანს მხარეს შეიმუშავებენ ჩვენი სპეციალისტები, ხოლო სიდიდე დამოკიდებულია იმ საშუალებაზე რომელიც შეგროვდება თანამგრძნობთა მიერ შემოწირვით.

ამასთან სასურველია აღნიშნულ იქმნას წოდება, სახელი და გვარი ყველა იმ პირთა, რომელთაც დასდვეს თავი სამშობლოს დიდებისათვის დღევანდელ ომის განმავლობაში.

წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა მიმართავს ყველა იმ პირთ, რომელნიც თანაუგრძნობენ შემოღებულს კეთილს მიზანს, განსაკუთრებით დაღუპულ გმირთა ოჯახებს, გამოიღონ წვლილი ამ დიადის საქმისათვის შეძლებისამებრ.

დაღუპულ გმირთა სიის სისწორით შესადგენად საზოგადოების გამგეობა იწვევს ერობებს, გარდაცვლილთა მშობლებს და ნათესავებს მოიწოდონ წ. კ. გ. საზ. კანცელარიას (სასახლის ქ. № 5 თფილისი), თავიანთ შემოწირულებასთან ერთად აგრეთვე ბრძოლის ველზე მოკლულთა და ჭრილობათაგან გარდაცვლილთა სია, წოდებისა და სამსახურის ადგილის აღნიშვნით.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲘᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

წლიური კრება.

26 მარტს შესდგა ექიმის თანაშემწეთა კავშირის წლიური კრება, რომელსაც ადგილობრივი ამხანაგების გარ[illegible] ლურ განყოფილებათა წარმომადგენელნი. კრებას ხელნის ამ. კაყლეფიშვილი ქართულ ენაზე და მისალმებითი სიტყვას ამბობს, ბოლოს დასძენს, რომ კამათი იქნება როგორც ქართულად, აგრეთვე რუსულადაც. ამის გამო „ბალნიჩნი გაზეტა“ წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ კამათი იყოს მხოლოდ რუსულ ენაზე, მაგრამ კრება არ სთანხმდება, რის შემდეგ ისინი კრებას დემონსტრატიულათ სტოვებენ.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ბ. კაპუსტინს, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვის კომიტეტის წევრი, მოითხოვს, რომ მას მიეცეს ნება რიგ გარეშე გააკეთოს განცხადება ამხანაგების დავალებით, კრება წინააღდეგობას ლებულობს. ის მოითხოვს, რომ კრებამ მორალურათ და იდეურათ დაეჭიროს მხარი გაფიცულთ. ამ საკითხის გარშემო იმართება კამათი, რაც მეტად ხასიათს ლებულობს. კრება ლებულობს შემდეგ რეზოლიუციას: „მოისმინა რა კრებამ ბ. კაპუსტინის განცხადება, თუ როგორ ეუფრებს ექიმის თანაშემწეთა კავშირი ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვას და კერძოთ სიექიმო პერსონალისას, კრება ასეთ გაფიცვას გმობს და მორიგ საკითხის განხილვაზე გადადის. ბ-ნი კაპუსტინი ყველას თავს უკრავს და „სპოსიბოს“ თქმით მიდის კრებიდან. ამის შემდეგ კოლეგიშვილმა წაიკითხა წლიური ანგარიში კავ. გამ. მიქმედებისა, რაც მოწონებულ იქნა ერთხმად, მიღებულ აგრეთვე კრებამ დადასტურა მოლარე გ. ხუციძის ანგარიში. კრება ერთხმად ადგენს განახლდეს ჟურნალ „ექიმის თანაშემწის“ გამოცემა გადიდებული ფორმატით. ამხ. ვ. სალამა შვილი აცნობს კრებას, თუ რა მდგომარეობაშია წარდგენილი კანონ პროექტი უფლებებს შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ სიექიმო სასანიტარო განყოფილებას არ გასცილებია, იგი აცნობს კრებას ექიმთა პროფესიონალური კავშირის და ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა რეზოლიუციებს ამ საკითხის შესახებ. კრებამ გადასწყვიტა ახალ გამგეობას მისცეს მოქმედების დირექტივები, თუ როგორ უნდა აწარმოვოს საქმე. ახალ გამგეობის არჩევნები სხვა დროისთვის გადაიდო.

ვ. ვანსანიძე.

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

(ტრამვაის მუშები).

თფილისის ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობამ, თავის სხდომაზე 24 მარტს 1919 წ., იმსჯელა რა მდგომარეობა ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო, ერთხმად (მონაწილეობდნენ ს. დ., ს. ფ., ეს-ერები და დაუნაკელები) გადოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„1) მოწონებულ იქნას ამხ. შევჩუკის გამოსვლა ქალ. მოსამს. 28 მარტის კრებაზე, რომელმაც ტრამვაის მუშა-მოსამს. პროფ. კავშირის გამგეობის სახელით განაცხადა, რომ მზარი არ დაუჭირონ გაფიცვას, რადგან საამისო სანქცია არ ყოფილა მიღებული პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან. 2) გამგეობა ტრამვაის მუშათა კავშირისა სასტიკ პროტესტს აცხადებს იმ ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც გამოიჩინეს ხსენებულ კრებაზე, და რაც გამოიხატებოდა ტრამვაიელების კრებაზე არ დაშვებაში, სათათბირო ხმითაც კი. 3) ვლებულობთ რა მხედველობაში, რომ გაფიცვას, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს უსანქციოთ, შეაქვს მუშათა შორის ორევდარევა, გამგეობა პროტესტს აცხადებს ქალ. მოსამსახ. ერთი ნაწილის წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი დემაგოგიით არევ დარევა შეიტანეს მუშათა წრეებში და აცხადებს, რომ ტრამვაიელთაგან, ვერც მატერიალურ და ვერც მორალურ დახმარებას ხსენებული ნაწილი ვერ მიიღებს.

ტრამვაის მუშ. პროფ. კავშირი, დაბოლოს მიაქცევს კავშირთა საბჭოს ყურადღებას თფილ. ქალ. მოსამსახ. პროფესიონალურ კავშირის წყობილების შეუსაბამობაზე, რის შედეგიც არის დღევანდელი გაფიცვა“.

ᲔᲜᲘᲫᲘᲜᲘᲪᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ.

26 მარტს ჩვენთან, ენფიჯიანცის ქარხანაში მოვიდა ერმაოლოვი, რომელიც იყო გამოგზავნილი ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ჩვენ შინაგან კომიტეტის წევრები შევიკრიბენით, გაეხსენით კრება, მოუსმინეთ მომხსენებელს მიზეზები გაფიცვისა. მან სხვათა შორის სთქვა: ჩვენ გადავწყვიტეთ მივმართოთ თვითონ მუშებს, რა აზრისანი არიან ისინი ჩვენი გაფიცვის შესახებ და გთხოვთ მხოლოდ მორალურ დახმარებასო. ჩვენი რეზოლიუცია ამ კითხვის შესახებ იყო შემდეგი: „ვინაიდან თქვენ ულალატეთ პროლეტარულ პრინციპებს, ასცდით სწორ გზას, მიუხედავად იმისა, რომ პროფ. კავშირების ცენტრმა მიიღო ყოველივე ზომა, რომ ქალაქის მოსამსახურეებს მიეღოთ ჯამაგირი და ქალაქიც დაჭირდა ჯამაგირების მიცემას პირველ აპრილიდან, თქვენ მაინც გამოაცხადეთ გაფიცვა უსანქციოთ ცენტრისა, ჩვენ თქვენ გაფიცვაში ვხედავთ გათიშვის ნაბიჯს, ამ მოქმედებით შეგაქვთ არევ-დარევა თფილისის მუშათა კლასში. ჩვენ მოვითხოვთ ეხლავე შესწყვიტოთ გაფიცვა, და შეუდგეთ მუშობას. თუ ცენტრი მოგაცემთ გაფიცვის ნებას, ჩვენ არამც თუ მორალურ დახმარებას გაგიწევთ, არამედ მატერიალურსაც“.

კომიტეტის მდივანი პ. მ.

ᲑᲔᲛᲓᲒᲝᲗᲘ ᲮᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

გამგეობის კრებამ, 26 მარტს „განიხილა რა კითხვა ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ, კავშირის გამგეობა სთვლის, რომ: 1) ვცნობთ რა ქალაქის მოსამსახურეთა კრიტიკულ მდგომარეობას ჯამაგირის მიუღებლობის გამო, მაგრამ ვიღებთ რა ხელფასებლობაში, რომ ჯამაგირების დაურიგებლობა გამოწვეულია არა ქალაქის გამგეობის წარმომადგენელთა ბოროტის სურვილებისაგან, არამედ ცხოვრების ობიექტური მდგომარეობისაგან, რომ მთავრობა, გამგეობა და პროფ. კავშირთა საბჭო იღებდენ ყოველ ზომებს მოსამსახურეთა ძძიმე მდგომარეობის შესაფასებლად,—ამის და მიუხედავად უპასუხისმგებლო პირების ზეგავლენით მოსამსახურეებმა მაინც გამოაცხადეს გაფიცვა დემოკრატიული ნაწილის საზარალოდ; 2) რომ ეს გაფიცვა დეზორგანიზაციის და ზარალის მეტს არას მოუტანს თვით მოსამსახურეთ, გამგეობა

ბი, ისე ყველა კრებაზე დამსწრე დელეგატები.

კრებას დაესწრნენ ენფიანდჯიანცის ქარხნის წარმომადგენლები, სეილანოვის, „ კომეგის“, საფაროვის, „მირის“ და ბოზორჯიანცის.

დღის წესრიგში იყო დასმული საკითხი ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის გფიცვის შესახებ. კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა: ვდებულობთ რა ხსენებულობაში, რომ ის გფიცვა, რომელიც გამოაცხადა ნაწილმა ქალაქის მოსამსახურეებისა, რომელიც მიმართული არის ქალაქის დემოკრატიის წინააღმდეგ და რომელიც დაჭმო პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ, სცნო რა ეს გფიცვა მიზან-შეუწონლად და პროფესიონ. კავშირში დეზორგანიზაციის შემტანათ, კრება ადგენს: სრული ნდობა გამოეცხადოს ჩვენ უმაღლეს ორგანოს პროფესიონალურ კავშირს, საბჭოს და მის აღმასრულებელ ორგანოს სეკრეტარიატს. ამასთანავე გამგეობა და საქარხნო კომიტეტები, რომლების გარეშემო თავს იყრიან 2750 მუშამდე, უცხადებს პროტესტს იმ ჯგუფს ქალაქის მოსამსახურეებისას, რომელმაც გამოაცხადა გფიცვა დემოკრატიულ თვითმართველობის წინააღმდეგ. კრება კატეგორიულად მოითხოვს, რომ იმ ჯგუფმა, რომელმაც წინააღმდეგ უმაღლესი ორგანოსი პროფესიონალურ კავშირის სანქციისა გამოაცხადა გფიცვა, დაუყონებლივ დაუბრუნდეს თავის სამუშაოს. აგრეთვე კრება აცხადებს ყველა მუშების საყურადღებოთ შემდეგს: ამ გფიცულ ნაწილს ქალაქის მოსამსახურეებისა მეთაურობს წარმომადგენელნი ბურჟუაზიულ ინტელიგენციისა, როგორც არიან—ექიმები, ვეტერალები, ინჟენერები და სხვები, რომელთაც არავითარი პროლეტარული ფსიხოლოგია არა აქვთ და რომელნიც ძველ წყობილების დროს თვითმპყრობელობის ერთგულ დარჯათ ითვლებოდნენ და რევოლიუციონურ მოძრაობაში, როგორც კლასი ანუ წოდება არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ და თუ ეხლა გამოდიან, მათი ზრახვანი აშკარა არის,—დაამხონ ჩვენი დემოკრატიული წყობილება.

ელექტრონის მუშათა კავშირში.

26 მარტს ელექტრონის მუშების პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ განიხილა კითხვა შესახებ ქალაქის თყითმართველობის მოსამსახურეთა ნაწილის გფიცვისა და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის მოსამსახურეთა 23 მარტის კრებაზე ქალ. თავის ამხანაგმა კონიაშვილმა ეუვს გარეშე ჰყო, რომ ჯამგირების მიუცემლობა შედეგია ობიექტიურ პირობების და უკეთუ ქალაქის მოსამსახურეები არ დაარღვევენ ქალაქის მეურნეობის ნორმალურ მსვლელობას, მარტისა და თებერვლის ჯამაგირები შესაძლებელი იქნება მიეცეს მოსამსახურეებს აპრილში, რითაც კონფლიქტი თავიდან იქნებოდა აშორებული,—ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილი მაინც გაფიცა, რომ ეს გფიცვა მოხდა კავშირთა საბჭოს ნება დაურთველად, გამგეობა სთვლის ამ გფიცვას დეზორგანიზაციულად, რომელსაც შეაქვს მუშებში განხეთქილება.

სტუდენტთა შორის

სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვირას, 23 მარტს, სახელ მწიფო უნივერსიტეტში მოხდა სტუდენტთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 200 მდე სტუდენტი. განსახილველი იყო ძველი გამგეობის მოხსენება, ახლის არჩევა და წესდების დამტკიცება. გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ს.-ფედერალისტების წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ეს ერთი ხანია რაც ფედერალისტების გაზეთ „სახალხო საქმეში“ იწერება უნივერსიტეტის ცხოვრებიდან პარტიული კინკლაობით და დაბალი ხარისხის დემაგოგიით გაჟღენთილი წერილები. ავტორები გამგეობის უმოქმედობის მიზეზათ სოც.-დემ. სტუდენტებს ასახელებენ და მით დონკიხოტიკით ქარის წისქვილებს ეძრძვიან, ვინაიდან, როგორც ვიცით, სოც.-დემ. სტუდენტებმა თვითნებურ და უმოქმედო ფედერალ. სტურ „გამგეობიდან“ დიდი ხანია რაც თანვიანთი კანდიდატები გამოიწვიეს. სამწუხაროდ იხიც უნდა აღ ნიშნოს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის უმრავლესობა სოციალისტ ფედერალისტთა პარტიას თანაუგრძნობს, რაც იმით აიხსნება, რომ შავი რეაქციის დროს, ფედერალისტთა „მოღვაწენი“ თბილ ადგილებში მოკალათებულიყვნენ და სათავად-აზნაურო გიმნაზიებში ნორჩს ახალგაზრდობას გონებას ეხშობდნენ და „ფედერალისტურ“ გზაზე აყენებდნენ. და აი ამ პოლიტიკის ნაყოფია ის, რომ ქართულ უნივერსიტეტში დღეს ფედერალისტები წარმოადგენენ უმრავლესობას.

ამ გარემოებიდან გამომდინარეობს ფედერ. სტუდენტთა თავ ედური, თვითნებური ფსიხოლოგია და მოქმედება: მათ არავითარი საქმის კეთების უნარი არა აქვთ და სხვასაც არ ანებებენ საქმეს. ეს აშკარად დაამტკიცა მათმა მოსენებამ გამგეობის მოქმედების შესახებ. „ბევრი რამე დაეწყოთ, მაგრამ არც ერთი არ გაუკეთებიათო“—სრულიად სამართლიანად აღნიშნა სარევიზიო კომისიის წევრმა. მართლაც და რაში გამოიხატა მათი მოქმედება? გამგეობას ორი-სამი ქალაღდი გაუგზავნია პროფესორთა საბჭოში და ქალაქის თვითმართველობაში. გამოუცხადებია მიტინგის დღე, სტუდენტები მოსულან და ულაპარაკნიათ, სტუდენტებს გამგეობის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიუღია განსვენებულ პროფ. ყიფშიძის დაკრძალვაში, აი თურმე ეს „ძნელი“ და „დიდი“ საქმეები, რაც გაუკეთებიათ ფედერალისტებს!.. შემდეგ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ სასადილოს საკითხი ვერ მოვაგვარეთ, რადგანაც სოც. დემოკრატებმა ბინა „მუზანათურად“ და „ძალადობით“ წაგვართვეს. აღსანიშნავია ის, რომ ფედერალისტები გინებაში დახელოვნებული არიან. ამაში ჩვენ ეჭვი არ შეგვიქმნია. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალისტები „სათუთი“ გრძნობის ხალხია. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მსხვილ ქალების დიდი უმრავლესობა ამ პარტიაშია. ასეთი ხალხისთვის რა საჭიროა ფაქტები? საქმის ფაქტიური მხარე კი აი რას გვეუბნება: ს. დ. ცენტრალურმა კომიტეტმა ბინა ჩამოართვა არა სტუდენტთა გამგეობას, არამედ მოჯარადრეს, რომელმაც თავის სასარგებლოდ მოხსნა სტუდენტების რეკვიზიცია ბინაზე. როგორც ხედავთ აქ ს. დ. არაფერ შუაში არ არიან. და თუ ფედერალისტები მას უდიერათ იხსენიებენ, ეს იმიტომ, რომ ს. დემოკრატ სტუდენტებს სახელი გაუტეხონ და მით თავის უმოქმედობა „დაფარეთონ“. სწორედ იმიტომ იყო, რომ ამხ. სოც. დემ. სტუდენტებმა ფედერალისტ სტუდენტობის მკონარეობას ფარდა ახადეს საზოგადო კრებაზე და „გამგეობას“ — ფედერალისტებს— საყვედური და უნდობლობა გამოუცხადეს უმოქმედობისათვის. სოციალ დემ. რეზოლიუციას ხმა მისცა 91 კაცმა. სოც. ფედერალის. კი 94 კაცმა. მათ შორის გამგეობის წევრებმაც. ამ რიგათ ფედერალისტურ გამგეობამ თავის თავს ნდობა თითონ გამოუცხადა. ყველამ იცის, რომ ფედერალისტები „ორიგინალური“ ხალხია. ფედერალისტები ამტკიცებენ, რომ წესდებაში არ არის ეს აღკრძალული და გამგეობის წევრებს შეუძლიათ თავის თავს ნდობა გამოუცხადონ და კეტჩის ყრაში მონაწ ლეობა მიიღონო. სხვა არა იყოს რა, უბრალო ზნეობრივი წესი მოითხოვდა ფედერალისტებს ეს მესამე არ ჩაედინათ.

რეზოლიუცია „მაშვრალებმა“ წამოაყენეს. ისინიც საყვედურს უცხადებდენ გამგეობას. მათმა რეზოლიუციამ 8 ხმა მიიღო. ამ რიგათ გამგეობას უნდობლობა და საყვედური გამოუცხადა 91+8 =99 კაცმა. ხოლო ნდობა 94—12—82 კაცმა. სამწუხაროდ კრების თავმჯდომარემ მ. კაკაბაძემ მეტის მეტი მიუდგომლობა ვერ გამოიჩინა და სათანადო დასკვნა არ გაუკეთა ამ ფაქტს.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დღეს ტონის მიმცემი იყვნენ სოც. დემოკრატ სტუდენტები, რომლებიც არც ისე ცოტანი აღმოჩნდნენ რიცხვით, როგორც ეს ბევრს ეგონა. მაგრამ საქმე მდგომარეობს არა რიცხვში, არამედ თვისებაში. ფედერალისტები რომ ბევრია, ამიტომაც ჰყავდათ ასეთი „ლირსეული გამგეობა“.

ანხანი.

ალაგირის ქართველობა

ალაგირში და მთელ თერგში ბალშევიკების მართველობა შემოვიდა 15 თებერვალს 1918 წელს. მაგრამ ოსეთის გარდა სხვა ნაწილი არ ემორჩილებოდა. ამიტომ ნოემბრის 18 ში შემოვიდენ ისინი ალაგირში იარაღის ჩამოსართმევათ. მაგრამ ოსებმა ძველი და უფარგისი იარაღი ჩაბარეს, რაც კარგი იარაღი ჰქონდა გატაცა ოსმა ახალგაზდობამ და გადამალნენ სოფელ ბირალზანში, რომელიც ალაგირზე არის ორი ვერსით დაშორებული. მათ მოჰკლეს კოლია ქ ფიანიძე, საშა გეგეჭკორის ჯარის მმართველი, ქაფანიძის მოკვლამ ძალიან გააბრაზა ჯარისკაცები. დასწვეს რამდენიმე სახლი და მოჰკლეს რამდენიმე კაცი, დატაცეს მთელი სოფლის ქონება. ამ ჯარში ერია ალაგირელი ქართველი რაზმელები. ბალშევიკური ჯარი მალე წავიდა ალაგირიდან და ოსებმა დაგვიწყეს შეჭარა: ერას აპირობთ, სუყველას დაგხოცავთ და ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო. ალაგირიდან ჯარი სულ წავიდა, ხოლო დარჩენ ალაგირის რაზმელები: ქართველები და რუსები რიცხვით 60 კაცი, რომლებმაც დაიწყეს მოვალეობის ასრულება: ოსების განიარაღება და ავაზაკების დატუსაღება. ამათმა საქციელმა ოსები კიდევ უფრო აღელვა და დაგვიწყეს შეურიდობენ ხალხს დევნა. ზოგს სცემენ, ზოგს ცხენი წაართვეს და ზოგს ფული. ამას

გვყავს, ესე უპატრონოთ უნდა დავიღუპნეთ და დავიხოცოთო. ალაგირის ქართველები, რუსეთში ცვლილება მოხდა თუ არა, მაშინათვე მიხვდენ, რომ ალაგირში მათ ადარ ეცხოვრებოდათ, რადგანაც ოსებმა ქართველებს და რუსებს დევნა დაუწყეს და სახნავი და სათიბიც არ დანებეს. ალაგირის ქართველებს თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდათ გადასახლება ალაგირიდან; ამის გამო მათ 1918 წ. ოქტომბერში კაცებიც გაგზავნეს საქართველოს მთავრობასთან. საქართველოს მთავრობამ სულით და გულით მოისმინა ალაგირის ქართველების მდგომარეობა და ადგილიც უჩვენა და დახმარებაც აღუთქვა. ჩვენი გაგზავნილი კაცები დაბრუნდენ საქართველოდან ნოემბერში. ხალხს გადასცეს საქ. მთავრობის პასუხი. როცა ხალხმა მოისმინა ჩვენი მთავრობის პასუხი, გადასწყვიტეს, რომ გზაფხულზე გადასახლებულიყვნენ საქართველოში, მაგრამ უბედურებს გზაფხულამდე ბედმა ადარ აცალათ და როგორც ზევით მოგახსენეთ, ალაგირის ქართველებმა მიატოვეს თავისი საყვარელი ალაგირი 11 იანვარს 1919 წელს. ეხლაც ალაგირის ქართველებს დარჩენილთ ერთად ერთი იმედი. ეს იმედი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მთავრობა სულით და გულით მოჰკიდებს ხელს ჩვენს საქმეს და ამ უპატრონოთ, უსახლკაროთ და უღუკმა-პუროთ დარჩენილ ხალხს 2700 სულს დაეხმარება ყოვლისმხრივ, რამდენადაც კი შეუძლია. სრული იმედი გვაქვს, რომ მთავრობა უყურადღებოთ არ დაგვტოვებს და გამოსავალ გზას გვიჩვენებს იმ უბედურობიდან, რომელშიაც ალაგირელი ქართველები ვიმყოფებით

ილია ლომჯანაძე.

ჯავახელ ოგლო გავშვთა სასარგებლოთ

გასული წლის ბოლოს ქუთაისში გარდაიცვალა სახალხო მასწავლებელი ნინო ჭარხალაშვილის ასული, რომლის სახელის პატივსაცემლად და ხსოვნის აღსანიშნავად დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ადგილობრივი კავშირის თავმჯდომარეს, 230 მ. და დამავალეს ეს წვლილი გამეგზავნა რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებისათვის. ვუგზავნი რა ამ ფულს წითელ ჯვართან არსებულ ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეს ქ ნ ნინო ნაკაშიძეს, უმორჩილესად ვსთხოვ მიუმატოს ჯავახელ ობოლ ბავშვთათვის არსებულ ფონდს. ამასთანავე ვაგზავნი შემომწირველთა სიას. *)

ლადო ბზვანელი.

აუცანელი მდგომარეობა

თფილისის ვ-ეთა მეორე გიმნაზიის მდგომარეობა დღეს აუტანელ პირობებში ჩავარდნილა. უკვე დიდი ხანია რაც ამ გიმნაზიის საუკეთესო შენობაში სამხედრო ნაწილებია დაბანაკებული. ასეთი ბედი ეწვია ამ სასწავლებელს თითქმის ომის დაწყებიდან. ყოველ შემთხვევაში სწავლა მაინც მიმდინარეობდა. დღეს კი გარემოება ძალიან გაჭირვებულია გიმნაზიას ადარ აქვს საკმაო ოთახები. და ასე გასინჯეთ სასწავლებელს წარართვა საშუალება თავისი მდიდარ ფიზიკურ და სხვა ლაბორატორიებით სარგებლობისა გიმნაზიის მიბმიოთეკაც ამ დღეშია. არა თუ გიმნაზიის მოსწავლეთ, თვით მასწავლებელთაც ადარ აქვთ საშუალება ხსენებულ სამოსწავლო ოთახებში შესვლისა. საქმე შემდეგშია: დღეს ამ გიმნაზიის შენობაში დაბანაკებულია ინგლისელების შაგანიანი ჯარი. წინათაც იყვნენ აქ ჩვენი თუ გერმანელების ჯარები, მაგრამ ამ სასწავლებლისათვის ძვირფას და საჭირო სამკეთილ-ლაბორატორიებს არ შეხებიან. ამ ოთახებში ინახებულ სამოსწავლო მანქანა-საგნებით სასწავლებელი თავისუფლათ სარგებლობდა დღეს კი, რადაცა გაუგებრობით, თუ შეცდომით აქ დაბანაკებული ინგლისელების ჯარი ამ ოთახებსაც დაპატრონებიან. რამდენიმე სამოსწავლო ნივთებით დაპერილ ოთახებში დღეს დაბანაკებულია ინგლისის ოფიცრები და შიგ ალარაფის უშვებენ. მასწავლებლები მოკლებულნი არიან ისარგებლონ ამ სამოსწავლო საგნებით და სწავლება ძალიან ფერხდებიან. როცა გიმნაზიის დირექციის ამ ოთახების გაღებაზე უარი უთქვამთ, კარები ძალით გაუტეხნიათ. ასეა დღეს საქმე მილიონი დირებულების ქონების მოელის განსაცდელი. რადაც გაუგებრობაა. საჭიროა საქმეს მიეცეს დაუყონებლივ ყურადღება. წარმოუდგენელია რომ ინგლისის ჯარის სარდლობამ ეგ ამბავი იცოდეს. სკოლის წქინდათა-წქინდას ინგლისელები არ შელახავენ. აქ ალბათ დაბალი მოხელეების თვითნებობასთან გვაქვს საქმე. კიდევ ერთი საყურადღებო

*) სია უადგილობის გამო ვერ იბეჭდება. *ედ.

გარემოება, ეზოში ჯარს გაუმართავს აბანო. იბანენ სხეულს, რეცხავენ ტანსაცმელს ეს ნარეცხი-ჭუჭყიანი წყალი გადადის იმ პატარა სახლის ეზოში, საცა დღეს გიმნაზიაა მოთავსებული და საცა მოსწავლენი თამაშობენ. აგრეთვე წყალი ჩაედის სამოსწავლო ოთახებს გვერდით. როგორც დათმება და მზე გამოიჩენს თავის სიცხოველეს აქ მდგომარეობა ყოველად აუტანელი გახდება. ისედაც დღეს გვერცელებულ ავადმყოფობას რაღა ეს ეჭირვება. ან უნდა ეს გარემოება შეიცვალოს ან და გიმნაზია დაიკეტოს. დაყოვნება შეუძლებელია. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო დიდ საგონებელშია და ან იცის როგორ მოიქცეს. საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება. ეს ჯარი აქედან გადაყვანილი უნდა იქნეს და შენობა განთავისუფლებული. ნავთლუღში საკმაო ყაზარმებია ჯარისათვის გამოსადეგი. ამ გარემოების შესახებ ბევრი ჰქონდა ამაზე გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების საზოგადო კრებას.

კრებამ აირჩია კომისია და დაავალა მას ზრუნვა შენობის დაცლის შესახებ.

იმედია კომისია ენერგიულად მოჰკიდებს ამ საქმეს ხელს და მთავრობაც მიიღებს ზომებს დროზე, რომ საუკეთესო გიმნაზიის საუკეთესო სამოსწავლო სიმდიდრე არ დაიღუპოს და არ გაჭრეს.

ხ. დ—ძე.

გორის სამაზრო ერების ყრილობა

ყრილობა გაგრძელდა 15—18 მარტამდის. 40 ხმოსნიდან დაესწრო 28. ახალქალაქის რაიონიდან ერობას მოაკლდა ორი საპატიო ენერგიული წევრი, კაცაშვილი და დემეტრაშვილი, რომელთა ხსოვნას ყრილობამ ფიზიზე ადგომით პატივი სცა. მათ მაგიერ მოწვეული არიან კანდიდატები: ქამრაძე და ჩიგაძე. ყრილობა გახსნა თავმჯდომარემ ვ. ცაბაძემ. წაკითხულ იქმნა გორის სამაზრო ერობის პირველი ყრილობის ოქმი, რაც დამტკიცებულ იქნა. შემდეგ, ვიდრე მუშაობას შეუდგებოდნენ, გადაუხვევნეს საქართველოს დამფუძნებელ კრებას მისალმების დეპეშა. დღიურ წესრიგის განხილვამდე ყრილობამ მოისმინა ერობის გამგეობის მ. ახალაძის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ დღიდან დაარსებისა—წარსულ წლის დეკემბრის ოთხიდან ამ წლის მარტის თხუთმეტამდის. გამგეობას არ გააჩნდა არც კაპიტალი, რაც დაიწყო მოქმედება, არც ბინა ჰქონდა შესაფერისი, ამიტომ შესაჩნევად ფერხდებოდა მისი მოქმედება. აქამდის ვერ იშოვა სასურველი ვერც ბუღალტერი და ვერც მდივანი. გამგეობამ ამ ხნის განმავლობაში მოაწყო სასურსათო საქმის მოწყობა, გახსნა საკუთარი საწყობი, გამოიწერა ერთი მილიონის ნივთები მოსარაგების კომიტეტიდან და სურამის საწყობიდან, მიწად-მოქმედების სამინისტროდან აღლო ორი სახერხი ქარხანა ს. ატენში და გორში, სადაც მუშაობა უკვე დაიწყო, მოაწყო სამასწავლებლო მოსამზადებელი კურ ები, გაგზავნა სოფლებში ეპიდემიასთან საბრძოლველი რაზმები და მოაწყო ხუთი სამკურნალო პუნქტი, მოაწყო ფრონტის დამხმარე კომიტეტი, შეკრიფა ცნობები სკოლების შესახებ, ჩაიბარა საადგილმამულო კომიტეტის საქმეები, თვით კომიტეტს რეორგანიზაცია უყო, მოაწესრიგა ტყის კითხვა ტყის უწყებასთან შეთანხმებით, ამოირჩია მიმდები კომისიები სამეურნეო, სატეხნიკო, სიადმინისტრაციო, სასკოლო, საეკ-ზო და სხვა უწყებათა საქმეების და ქონების მისაღებად. მომხსენებელმა გამოთქვა იმედი, რომ გამგეობის მოქმედება ამიერიდან უფრო გაფართოვდება.

პირველი კითხვა იყო მაზრის სასამართლო უბნებად დაყოფა და მოსამართლეების არჩევა. ამ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა რ. გაგუამ. ყრილობამ გორის მაზრა გაჰყო თერთეტ სამოსამართლო უბნად, თანახმად იუსტიციის სამინისტროს მოყერილობისა.

მოსამართლეებად ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი პირები: მესხიშვილი კირილე ნიკოს ძე, კლიმიაშვილი სამსონ ივანეს ძე, კლიმიაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, მელიქინეთ-ხუციესშვილი გიორგი ვასილის ძე, ერისთავი გრიგორი ნიკოლოზის ძე, მგალობლიშვილი სოფრონ ზაქარიას ძე, ჩაჩიკაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე, კოშორიძე გიორგი გაბრიელის ძე, ჩხიკვაძე მეზნოსი ნიკოლოზის ძე, ქოქოშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, სარჯიშვილი სოლომონ პეტრეს ძე. კანდიდატებად: ნასყიდაშვილი ივანე მიხეილის ძე და ვანეევი ზაქარია ნიკოლოზის ძე. რადგანაც ცხინვალის სამოსამართლო უბანში ბევრი საზოგადოებები შედის და მათ შორის ოთხი ოსებით დასახლებული საზოგადოება, ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას ერთი მოსამართლე მოუმატოს ცხინვალის რაიონს.

საპატიო მოსამართლეებად აირჩია: გ. ხ. ცაბაძე, ი. დ. მაჭავარიანი, [illegible] ლაძე, რ. რ. გაგუა, კ. მ. ამირაჯიბი და ხ. ი. უზნაძე; ნაფიც მსაჯულების მოსაწესრიგებლად: ვ. ხ. ცაბაძე, გ. ა. გაგლოევი და რ. რ. გაგუა.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა გ. გაგლოევის მოხსენება ოსებში ერობის შესახებ. გორის სამაზრო ერობის არჩევნებში მთაოსეთს არ მიუღია მონაწილეობა, რადგანაც ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფას თხოულობენ. ყრილობის აზრით ცალკე ერობად გამოყოფა ოსეთისა არ შედის მის კომპეტენციაში, ეს უნდა გადაწყდეს კანონმდებლობითი გზით. რაც შეეხება წვრილ საერობო ერთეულების მოწყობას ოსეთში, ეს უნდა მოხდეს საერთო წესით მთელ მაზრაში.

ამნაირად მთაოსეთში შვიდ საზოგადოებიდან უნდა მოიწყოს სამი წვრილი ერობა: 1) ჯავის ერობა, (დიდ ლიახვის ხეობაში) რომელშიაც შევლენ ჯავის, ყეშულთის და როკის საზოგადოებები; 2) ვანეთის ერობა (პატარა ლიახვის ხეობაში), რომელშიაც შევლენ ორტეფის და ბელოთის საზ. 3) არკნეთის ერობა, რომელშიაც შევლენ ყორნისისა და წუნარის საზ.

კითხვა, საერობო წვრილ ერთეულების შემოღება მეორედ დაისვა გორის სამაზრო ერობის ყრილობაზე. პირველმა ყრილობამ გადასწყვიტა, რომ ერობები შემოღებულიყო ყოველ საზოგადოებაში. ამომრჩეველთა სიები მზათ იყო, საარჩევნო კომისიებიც არჩეული, ხმოსანთა სიები დაბეჭდილი და კიდეც უნდა შესდგომოდენ არჩევნებს, რომ დაწყო ომი სომეთთან და ამ გარემოებამ შეაჩერა. შემდეგ ეს კითხვა პრესაში და სხვა სამაზრო ერობათა ყრილობაზე, აგრეთვე რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების ყრილობაზე, უკეთესად გააშუქეს, ყოველ მარივ ასწონ-დასწონეს და მიზანშეწონილად სცნეს რამოდენიმე საზოგადოებების შეერთება ადგილობრივ ეკონომიურ და კულტურულ პირობათა მიხედვით. დიდი კამათის შემდეგ გორის სამაზრო ერობის ყრილობაც ამ უკანასკნელ აზრს დაადგა.

ამნაირად ყრილობამ მთელი მაზრა დაყო ოც წვრილ ერობად: 1) ატენის ერობა, რომელშიაც შევლენ ხიღისთავის, ბობნევის და ახალ სოფლის საზოგადოებები, გარდა შემდეგი სოფლებისა: ფიცესი, კლდისთავი, ნათლიმცემელი, ყანობირი, ფილათი, მთადეკეული, რკონი და სხვა ახლო მახლო პატარა სოფლები, რომლებიც შევლენ ახალქალაქის ერობაში. ცენტრი სოფ. ატენში. უნდა ამორჩიონ 40 ხმოსანი. არჩევნების მოსაწყობად დანიშნენ დ. გაგლოევი, ა. დავითაშვილი და ს. კირვალიძე, 2) მეჯვრისხევის ერობა: მეჯვრისხევის და ანდორეთის საზ. ცენტრი მეჯვრისხევში. 30 ხმოსანი. ორგანიზატორი—ვ. სოხიშვილი და მ. მარლიშვილი, 3) ხელთუბნის ერობა: ხელთუბნის საზოგადოება. ცენტრი ხელთუბანში. 20 ხმოსანი. ორგანიზატორი—მ. მერაბიშვილი, 4) ტყვიავის ერობა: ტყვიავის და მერეთის საზ. ცენტრი ტყვიავში. 30 ხმოსანი. ორგანიზატორი გ. ხახიშვილი, 5) ქვეშოვლის ერობა: ქვეშოვლის და კასპის საზ. ცენტრი ქვეშოვლაში. 30 ხმოსანი. ორგ. შ. ოქროპირიძე, 6) ახალქალაქის ერობა: ახალქალაქის, მეტეხის და დიცის საზ. ცენტრი ახალქალაქში. 45 ხმ. ორგ. ს. ქამხაძე, 7) კავთისხევის ერობა: კავთისხევის და ნიჩბისის საზ. ცენტრი კავთისხევში. 30 ხმოსანი. ორგ. ნ. ბარნოვი, 8) ქარელის ერობა: ქარელის და ზღუდრის საზ. ცენტრი ქარელში. 40 ხმოსანი. ორგ. ფეერ ბალაშვილი და ალექსიძე, 9) რუისის ერობა: რუისის საზ. ცენტრი რუისში. 20 ხმოსანი. ორგ. ა. ბარავაშვილი, 10) დირბის ერობა: დირბის საზ. ცენტრი დირბში. 20 ხმოსანი. ორგ. ა. ბიბილოვი, 11) ავლაგის ერობა: ავლაგის საზ. ცენტრი ავლაგაში. 20 ხმოს. ორგ. ა. ბიბილოვი, 12) გომის ერობა: მოხისის და ალის საზ. ცენტრი გომში. 30 ხმოსანი. ორგანიზატორი ა. ბიბილოვი, 13) ხაშურის ერობა: ხაშურის და ოსიაურის საზ. ცენტრი ხაშურში. 35 ხმოსანი. ორგან. ს. ბაბალიძე და ვ. ზაქარიაშვილი, 14) სურამის ერობა: ქვიშხეთის და იტრიის საზ. ცენტრი სურამში. 30 ხმოსანი. ორგან. ს. მამალაძე და ან. შუბლაძე, 15) ბორჯომის ერობა: ბორჯომის და ბაჯურიანის საზ. ცენტრი ბორჯომში. 35 ხმოსანი. ორგ. ვ. მიქაბერიძე და ნ. დეკანოზ, 16) ცხინვალის ერობა: თამარაშენის და დიცის საზ. ცენტრი ცხინვალში. 40 ხმოსანი. ორგან. რ. გაგუა, 17) შინდისის ერობა: შინდისის საზ., რომელშიაც შევა ბერეთვენი, ნული, ფანი, ცენტრი შინდისში. 20 ხმოს. ორგ. ი. მაჭავარიანი, 18) არკნეთის ერობა: ყორნისის და წუნარის საზ. ცენტრი არკნეთში. 30 ხმოსანი. ორგ. გ. გაგლოევი. 19) ვანეთის ერობა: ორტეფისა და ბელოთის საზ. ცენტრი ვანათში. 30 ხმოსანი. ორგან. ვ. გაგლოევი, 20) ჯავის ერობა: ჯავის, ყეშულთის და როკის საზ. ცენტრი ჯავაში. 40 ხმოსანი. ორგან. გ. გაგლოევი.

ამომრჩეველთა სიები უნდა დამზადდეს და საარჩევნო კომისიები მოეწყოს პირველ აპრილამდე, არჩევნები კი შვიდი აპრილიდან. სახელმწიფო სიაში უნდა იყვენ შეტანილნი, აგრეთვე კანდიდატებიც ოც ხმოსანზე ხუთი კანდიდატი, 30 ზე—შვიდი და 40 ზე—ათი კანდიდატი. გოგია.

(დასასრული იქნება)

ᲡᲘᲡᲮᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ

(მეორე ვიცა გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების საზოგადო კრება).

23 მარტს მოხდა ზემოხსენებული გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების კრება. სამწუხაროდ, კრებას ექვსი კაცის მაგიერ ასამდე მშობლები დაესწრენ. კრებას მოხსენება გაუკეთა გიმნაზიის ინსპექტორმა ბ-ნმა ქუთათელაძემ. მოხსენებულმა აღნიშნა არა სასურველი დამოკიდებულება პედაგოგიურ საბჭოსა და მოსწავლეთა მშობლებს შორის. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სკოლის გარეშე ოჯახში ბავშვებს პედაგოგიური საბჭო ყურადღებას ვერ აქცევს კომისარიატის მიერ ამის აღკრძალვის გამო. ამის არა სასურველი შედეგი უკვე ცხადათ ჩანს. საერთოა მშობელთა კრებამ გამონახოს რაიმე ზომები, რომ გაუჯობ დეს დამოკიდებულება მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მათ მშობელთა შორის. მომხსენებელმა აღნ შნა ერთი არა სასიამოვნო გარემოება, რომ უმაღლეს კლასებში, მეუფეში, მეექვ ე, მეშვიდეში თითქმის ნახევარი მოსწავლენი გაკვეთილებზე არ დ დიან. სწავლაზე ოგვინებენ და ასეფერხდება სწავლის საქმეო. მოხსენებამ გამო წვია კამათი. აღნიშნულ იქნა რამდენიმე ნაკლი მასწავლებლთა ხმრ ვ.

დასასრულ გიმნაზიის დირექტორმა ბ-ნმა ლორთქიფან ძემ აუწყა კრებას არა სასიამოვნო მდგომარეობა გიმნაზიაში, გამოწვეული გიმნაზიის შენობის ინგლისელთა ჯარის დაპერის გამო და დღეს ამ ჯარს დაუპერია არა ოუ ის ოთახები, რომელნიც წინათ ეჭირა ჩვენსა თუ გერმანელების ჯარს, არამედ თვით საკითხველო, ფიზიკური და სხვა სამოსწავლო ლაბორატორიის ოთახები. ამ რიგათ დღეს გიმნაზია მოკლებულია ამ ფიზიკურ იარაღებს. სწავლა ფერხდება და თვით ამ დიდ და საპატრო სიმდიდრესაც განსაცდელი მოელის. კრებამ აირჩია კომისია სამი კაცისაგან და მიანდო მას მთავრობასთან ამ შენობის დაცლის შესახებ მოლაპარაკება. თუ შენობა ჩქარა არ დაცალა, აქ ისეთი უსუფთაობაა, რომ დიდ საშიშროებას წარმოადგენს გიმნაზიის მოსწავლეთათვის. დამსწრე.

ᲐᲮᲐᲚᲡᲔᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

30 მარტს, კვირას, დანიშნულია ახალსენაკის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები.

მოქალაქენ! ხმა მიეცით სოციალდემოკრატების სიას № 1.

ახალსენაკის ორგანიზაცია საქართველოს სოციალდემოკრატულ მუშათა პარტიისა ასახელებს შემდეგ კანდიდატებს:

1) სალაყაია იოსებ ბიქანის ძე.
2) დავითაია ლუკა კოსტას ძე.
3) ფიჩხაია აკაკი ალექსის ძე.
4) მაღნარაძე გიორგი ისიდორეს ძე.
5) ნოდია მიხეილ ზოსიმეს ძე.
6) გამსახურდია რაჟდენი გიორგის ძე.
7) მელია სიმონი დავითის ძე.
8) კანკავა გრიგოლი ბიტუას ძე.
9) ხოფერია ვლადიმერი დმიტრის ძე.
10) კალანდარიშვილი ფლორენცი მიხეილის ასული.
11) ლაბახუა ვლადიმერი გიორგის ძე.
12) ნჯიფარ ძენიკოლოზ ალექსანტრის ძე.
13) ხოფერია ანდრია დმიტრის ძე.
14) კეკელია სამფელ ანტონის ძე.
15) ქობალავა დავით კოსტას ძე.
16) მისაბიშვილი ნესტორ მიხეილის ძე.
17) კეშელავა კონსტანტინე კოსტას ძე.
18) შენგელია პავლე ბაბიკას ძე.
19) გაბესქირია მიხა.
20) ჯანჯღავა ალექსანდრე მაქიმეს ძე.
21) სირია იონა ფილიპეს ძე.
22) ხორავა აკაკი ალექსის ძე.
23) გამსახურდია გოგუცა ნესტორის ასული.
24) სილაგავა თომა.
25) გრიგოლია ალექსი.
26) ლოლუა პეტრე.

ს.-დემ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ 22 ამ თვის მოხდა სოციალდემ. მუშ. პარტიის კომიტეტის სხდომა. განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) პარტიული მუშაობა სოფლად და ქარხნის მუშებში, 2) პროფესიონალურ კავშირის დაარსება, 3) ეუდმივი მდივნის მოწვევა, 4) ორგანიზაციის სასარგებლოთ სადაზის გამართვა, 5) საერთო-წვრილ ერთეულების არჩევნები, 6) პროვინციელი ამხანაგვების დღიური და გზის ფასის დადგენა, 7) ბაკურიანის კომისრის არ. მიქაბერიძის საქმე, 8) ივ. კანდაუროვის, ივ. დავითიანცის და გ. შაფტაშვილის საქმეები, 9) კოოპტაციით კომიტეტის წევრების მოწვევა და კომიტეტის სხდომები. პირველ კითხვის შესახებ, კრებამ აღნიშნა რა ბორჯომის ხეობის რამოდენიმე ჩამორჩენილი სოფლები, დაავალა პასუხისმგებელ პროპაგანდისტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დასახელებულ სოფლებს. ამასთანავე კრებამ დაავალა თავ ჯდომარეს და პასუხისმგებელ პროპაგანდისტს მოლაპარაკება მამულის გამგესთან ამ კითხვების შესახებ, რომლის გამო ამ ციმდ ბორჯომის ხეობის გლეხები გაფიცული არიან და ხეს არ ბიდავენ მამულის სახერხავ ქარხნებში. პროფესიონალურ კავშირების დაარსების შესახებ მოხსენება გაუკეთა ამხ. იოსებ გუჯუნავამ. კრებამ აირჩია სამი პ რისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალა პროფ. კავშირის მოწყობა. პროვინციებიდან ჩამოსულ ამხანაგებს კრებამ დაუნიშნა 10 მან. დღიური და სამგზავრო ფული. საერთო მწვრილ ერთეულების არჩევად კრებამ აირჩია სამ პ რისაგან შემდგარი კომისია. კრებამ საპ როდ დაინახა მუდმივი მდივნის მოწვევა. არჩეულ იქნა ამხ. დ. უჩანეიშვილი. ორგანიზაციის საარეულოთ კრებამ დაადგინა სადამის გამართვა, რომელშიც ამ სხვათა შორის მოხსენება უნდა გაკეთოს პარლამენტის რომელიმე წევრმა. დაადგინეს სთხოვონ ამხ. ივ. გომართელს. კრებამ მსჯელობა იქონია ივანე კანდაუროვზე, რომელსაც პარტიას შეტანილი ყავდა საქალაქო საარჩევნო სიაში, რომელიდან ან თავი ამოიშალა და მოქალაქეთა უპარტიო სიით არჩეულ იქნა თვითმართველობაში. კრებამ ამის შემდეგ შეეძ �ებლად სცნო კანდაუროვის პარტიაში დატოვება და გამორიცხა ის. გამორიცხულ იქნა ამის გაძო აგრეთვე გ. შაფტაშვილიც. ა. ივანე დავითიანი, რომელსაც ბრალს სდებდა სურამის ს. დ. ორგანიზაცია სვადასვა შეუფერებელ გამოსვლებში, კომიტეტმა თანახმად საოლქო კომიტეტის წევრების განაჩენისა, მიიღო პარტიაში. ამას გარდა კრებამ მსჯელობა იქონია ბაკურიანის ყოფილ კომისარ არ. მიქაბერიძეზე და ბორჯომის რაიონის კომისრის საქმის მწარმოებ. გ. გურგენიძეზე, რომელთაგანაც პირველს სვადასვა ბრალს სდებს ჯავახეთის სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი და მეორეს კი ბაკურიანის ს. დ. ორგანიზაცია. კრებამ ორივე ბრალდებულთა საქმის გამოსარკვევად აირჩია საგამომძიებლო კომისია. დაბოლოს კრებამ კოოპტაციით მოიწვია კომიტეტში ამხ. ლ. ანდღულაძე, თ. ტალაბაძე და ივ. სირაძე. მორიგი კრებები დაინიშნა ორ კვირაში ერთხელ, თვის პირველ და 15 რიცხვებში.

ნოდე.

— —

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 23 მარტს ჩუღურეთის მცირე კოლექტივის ბინაზე მოხდა პარტიის კრება, რომელსაც არა პარტიული წევრებიც დასწრენ. თავმჯდომარეობდა ამხ. ტალახაძე.

გადაწყდა პარტიული კრებები იმართებოდეს ყოველ პარასკევს, სადამოს 7 საათ. ლექციებს დეეთმო კვირაში სამი დღე,—კვირა, ოთხშაბათი და შაბათი.

კრებამ დაავალა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, იზრუნოს შენობის შესახებ, რადგანაც ლექციებზე ბევრი მოდიან და ადგილი კი არ არის.

შ. გ.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 24 მარტს შესდგა თფილისის სადგურის ს. დ. ორგანიზაციის მორიგი კრება. კრებას წევრები თითქმის უკლებლათ დესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. რაჟდენ თავბერიძე. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) მისალმება საქართველოს დამფუძნებელ კრებას, 2) სასურსათო საკითხი, 3) ჯამაგირების მომატება, 4) დანახარჯ მაის საქმის მოწყობა. პირველ კითხვის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ამ საერთო ანარქიის დროს, საქართველოს დიდ ქალაქ თფილისში შეიკრიბა სრულიად საქ რთველოს დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი დამფუძნებელი კრება, სრულიად საქართველოს დემოკრატიის ბატონ-პატრონ. კრება უგუ ითვდეს სადამს უძღვნის მას. პოლიტიკურ ორგანიზაციას მტკ ცეთ სწაბს, სოციალიზმისთვის თვდადებული მებრძოლნი, ჩქარა განათავ ს უფლებენ საქ რთველოს პროლეტარიატს რკალიანით შემორტყმულ რეაქ ციის ბრბყალებისაგან. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული. მეორე კითხვის შესახებ, მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: „ვინაიდან რკინის გზის მუშები არ სარგებლობენ სურსათის სასურსათო დაჩნილან, ითხოვს რაიონულ გამგეობას პირველ აპრილიდან სურსათი გადაეცეს ადგილობრივ კავშირს თავის წევრებზე დასარიგებლათ ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ქვეშ“.

რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული. კამათი გამოიწვია მესამე კითხვამ. მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან საქართველოს რკინის გზის მუშები. ეს თვის თავად ცხადია, რომ რკინის გზის მუშები მეტად მცირე ფასს იღებენ და იძულებული არიან ავეჯიულობა და სხვა ნივთები ჰყიდონ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ, რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები ნაწამები ზნეობრივად და ფიზიკურათ, ვიმყოფებით ეკონომიურათ გაჭირვებულნი. ჩვენი ტანჯვა და ეკონომიური გაჭ ვრება არ ახალია, ძველია, ჩვენ ნაჩვევი ვართ შიმშილს, სიცივეს, სიტ ტვლეს და ათას ნაირ გაჭ ირვებას, მაგრამ დღეს მდგომარეობა აუტანელია. მოვითხოვთ მოგვეცეს ჯამაგირი არა ნაკლები თვიურათ 1350 მანეთისა“. კრებამ დაავალა ადგილობრივ სექციას აცნობოს ეს გადაწყვეტილება რკინის გზის ადმინისტრაციას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და ყველა პროფესიონალურ კავშირებს.

ხ ქ.

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ. მუშა მოსამსახურეები აუტანელ პირობებში არიან. მათ არ გააჩნიათ არც საათი მუშაობის და არც დრო ს საჭმლის. ხშირათ შეხვდებით დამე მომუშავეებს ზოგს გაღებულ კარებში დაუძინ ს და ზოგსაც დარაბები დ ხურავს და შიგ ამუშავებს საწყალ პატარა უფლოვანო ბავშვებს. როგორც გადმოგვცემენ, აქაურ მოსამსახურეებმა ქონებიათ პროფ სიონალური კავშირი, რომელსაც ხელმძღვ ნელობდა გ. მინაზარიანი, მაგრამ მას შემდეგ არავითარი შრომა არ მიუღია. საჭიროა მისი მოწყობა აუცილ ბლათ, რომ ამით „ბაზეიბნებ ს“ თავგასულობას ბოლო მოეღოს და ზნეობრივ-გონებრივი ამაღლება და განვითარება ქიდონ მუშა-მოსამსახურეებმა. გარდა ამისა არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი მდგომარეობა ადგილობრივ ფოსტა ტელეგრაფის დარაჯის, რომელიც ფოსტა ტელეგრაფის უფროსს ემსაჯურება, როგორც ძველებურათ იყო შინა მოსამსახურეთ და უფროსიც ცხოდია, მისი საქმეების გასაკეთებლათ ფოსტის სამსახურის მოვალეობიდან ხშირათ გაანთავ სოფლებს და მის ნაწილი სამსახური და შრომა ზედმეტათ დაეკისრება მის ამხანაგ მოსამსახურეებს, რაც არ არის სამართლიანი და, პირიქით, დასაგმობია, მაგრამ მოსამსახურეები თავის ნამდვილ ინტერესების შეგნების მხრით ცალა დგანან, თორემ ამ ზემოთ ხსენებულ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა. შეიძლება დარაჯ ს ო—ლი ამ შინამ ახურობით მეტ სარგებლობაში იყოს, მაგრამ რაც მისი მოვალეობა სხვას აწვება ერთის მხრით და მეორეს მხრით სასირცხო საქმეს ასრულებს, რომელიც ძალას მოვსპეთ, ეი ამას უნდა დაუკვირდეს თითონ და შეცდომა გასწორდეს, რომ ამით ნამდვილ ამბანაგათ ითვლებოდეს მის თანამოსამსახურეებში.

ძველი მუშა.

თფილისი. 23 მარტს, ორთაჭალის მუშათა კლუბის შენობაში შესდგა ამავე კლუბის წევრთა საზოგადო კრება. კრებას თავ ჯდომარეობდა ამხ. ალიხანიანი. პირველად კრება ისმენს ამხ. ირემაშვილს მოხსენებას სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების გახსნის შესახებ.

შემდეგ ამხ. ს. ყორყოლიანმ გაუმარტა კრებას, თუ რა დიდი ნაშენებლობა აქვს სახალხო უნივერსიტეტს. ამ საქმის მოსაწყობად კრება ირჩევს კომისიას, რომელშიაც შედიან 1) გაბო ოძელაშვილი, 2) ვარა ჯორჯიაშვილი და 3) კარაბოვი გიორგი. შემდეგ კრება ნიშნავს სახალხო უნივერსიტეტის გახსნის დღეთ კვირას, 30 მარტ, ორთაჭალის მუშათა კლუბში სადამოს 6 საათზე. ამის შემდეგ კრება ისმენს კლუბის ხაზინადარის ან. გოჩიტაშვილის მოხსენებას გასული წლის ხარჯი ალრიცხვის შესახებ. კრება მოახსენებას იღებს ხმედველობაში, ირჩევს სარევიზიო კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს მთელი მოქმედება საბჭოსი. კომისიაში შედიან: 1) კიპრიზოვი გიორგი, 2) სარქისოვი არა, 3) ოგაზოვი ავაკ.

ნაპეწკალი.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. 17 მარტს, წალენჯიხაში გაიხსნა ყრილობა ამ რაიონის 15 საზოგადოების გლეხთა წარმომადგენლებისა. ყრილობას დაესწრო 60 წარმომადგენელი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვ. ჩიქოვანი, მდივნათ დ. ფიფია. ეს სპეციალური ყრილობაა სოფლის მუშათა, სადაც უნდა გამოიმუშავონ მრავალი ზომები და გადაეფიქრებინონ პრაქტიკული მხარეები აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებისა. მოგეხსენებათ, ზუგდიდის მაზრაში მუდმივ ანარქიის და არეულობის გამო ამ რეფორმის გატარებამ დაიგვიანა. აგრარულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ანჯაფარიძემ, რომელიც წარმომადგენელმა ზუგდიდის ერობის საადგილ-მამულო განყოფილებისა. მან გააცნო ყველა კანონები მიწისა, რომელიც მიღებულ იქნა დამფ. კრების მოწვევამდე. მრავალმა ისეთმა საკითხებმა წამოჭყო თავი, რომლის განხილვა და გათვალისწინება მარტო ასეთ ყრილობას შეეძლო. მრავალი ზხარეები იქნა გათვალისწინებული, მრავალი ზომები შემუშავებული აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: ახლავე არჩეულ იქნას, სადაც არ არის, სოფლის საოლქადოების საადგილ-მამულო კომისია, რომელიც შეავსებს ბლანკებს სოფლის მცხოვრებლების მიწათ-მფლობელობის აღწერისას, ამასთანავე მუშაობის მოახლოვების გამო, რადგან მიწებ ჯერ არ არის ჩამორთმეული, თვით ჩამოართმევს მემამულეთ ვარაუდით და დაკმაყოფილებს მიწის მუშების საჭიროებას. ყრილობამ გამოსთქვა სურვილი მიწების ფონდიდან მიცემის დროს, თუ ფულით გაჭ რდა ფასის გადება, დაშვებულ იქნას ნატურალური გზით გადახდა.

გამორიცხა, რომ მემამულე თავადაზნაურთა გარდა, რომელთაც ჩამოერთმევა მიწები, არიან გლეხებიც, რომლებსაც აქვთ ნორმაზე ზევით. ყრილობამ დადგინა, რომ 18 ქცევაზე ზევით ყველას ჩამოერთვას მიწები, რადგან თუ ნორმა 40 ქცევა იქნა მიღებული, ჩამოსართმევი ნაკლებათ იქნები, მიწის მუშების მოთხოვნილების მინიმუმი არ იქნება დაკმაყოფილებული. შემდეგ წალენჯიხის რაიონი დაყოფილ იქნა სამ რაიონათ: 1) წალენჯიხის რაიონი, შედის სოფლები: წალენჯიხა, ობუჯი, ჭალეენჯი და ჯგალი; 2) მუხურის—სოფლები მუხური, ნაფიჩოვო და ჭალ; 3) ჯვარის—ჯვარი, ფ ხეკონი, ჭალა, ლია და ჭალვაში; 4) ორხომორი-ახუთის, ახუთი, ლესიკონი, ლეწურწუმე და ჩხოროწყუ. დადგენილ იქნა ახლავე დანიშნულ იქნას ჩამორთმევი კომისიები, მოწვეულ იქნას მიწისსმოველები, რომლის სისრულეში საჭიროთ მოყვანა ეთხოვა მ. ანჯაფარიძეს.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მემამულენი ეპარებენ ამ საქმეს, ავრცელებენ საშინელ ჭორებს, ეშვიან პროვოკაციას მთავრობისა და დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ, რის გამო გამოიტანეს შესაფერისი დადგენილება ეთოვა პრეზ დიუმს მიიღოს შესაფერი ზომები. ყრილობამ დასასრულ დადგინა გაეგზავნოს მისალმების დეპეშა დამფ. კრებას.

ვ. ჩიქოვანი.

ᲬᲜᲝᲒᲔᲑᲘ

ჯარისკაცი ვლად მერ დავითის ძე რობაჭიძე მსახურებდა მესამე ქართულ მორიელ პოლკში, პირველ როტაში. სოფს ტრაპიზიის დროს იმყოფებოდა იქვე. მას შემდეგ მის შესახებ არაკერი ვიცით. ვთხოვთ ვინც რაიმე იცის, აუმატყობინოს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, თფილისის ქ. ძ ძიგურის სამკერვალოში, ნიკოლოზ რობაჭიძეს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ

არჩევნები, სია, სია,—
მართალია ძვირფასია,
მაგრამ მეტად კაპასია—
საარჩევნო ომის სცენა.
ყველა ფ ქრი, ყველა ძალა,
ჩვენ არჩევნებს ენიცვალა,
და არავის არ ეცალა,
ლატარიაც გაეხსენა.
პარტიული ომი ქრება,
დამფუძნებელი გვაქვს კრება,
მტერიც ვიდარ გვიმუქრება,
მტერი—მიწის სადარია.
მინდა ყველას რომ მივმართო,
იყოს ლადი და უდარდო,
და ახსოვდეს მარტოდ მარტო
დღეს ქართული ლატარია.
გვინდა სკოლა უმაღლესი,
და თეატრიც უკეთესი,
რომ ეუბნოთ ბნელეთს წესი
კულტურამ არ დაიძინოს.
ვისაცა სწამს ქართველის ბედი,
არ სურს ჰკაოდეს სიბნელეთი,
ლატარიის მან ბილეთი
დღესვე უნდა შეიძინოს.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. ვ. ᲛᲔᲒᲠᲐᲒᲘᲐᲜᲪᲘ
შინაგანი ავადმყოფობა, ქალებისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსებული ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სადამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

კბილის ხაფანგი „კბილნეთში“
ᲗᲔᲠᲞᲘᲩᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔᲡᲗᲐᲡ
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და სადამოს 5—6 საათამდე. გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარათის), საბჭოს წინა ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
რ. გ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებრო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და სადამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
Ი. Ა. ᲪᲔᲠ-ᲠᲝᲖᲐᲙᲘᲛᲝᲕᲘ
კირურგი ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძველი და ხრონიული სუ ფნატ) ხიფილისი და მისი შედეგები, კანის ავადმყოფობანი, „606“ და „914“ შეშხაპუნება. მამაკაც ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და სადამოს 5—7 საათამდე. ქალების სადამოს 4—5 საათამდე.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
Კ. ᲗᲘ. ᲪᲣᲪᲘᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲮᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ
მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდან—ოფიციალის პირდაპირ ვენერიული, კანი, ხიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შაშარდე და ხანქერი ორგანოთა ხნეულებანი. სადამოს 5—7 საათ. (25—10)

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
Დ. ᲒᲝᲚᲓᲨᲢᲔᲘᲜᲘ
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 82.

ᲔᲥ. Დ. Ი. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ლებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., სადამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
ᲐᲚ. Გ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ.
იღებს საღამოობრივ ავათმყოფებს სადამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ადამოკისა № 111. (მე-2 ფლიგელ) ველის ტელეფონი № 49

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ
Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ
Ნ. Გ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ
სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორდანოვის ქუჩა №10. მიღება სადამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ Დ. Ბ. ᲨᲐᲨᲘᲐᲜᲘ.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და სადამოს 5—8 საათამდე. ქალების სადამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლდას ქ. № 33.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ
ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲚᲕᲝᲕᲘᲩᲘᲝᲠᲚᲝᲕᲡᲙᲘ
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და სადამოს 6—7. ჭალენიეის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—25)

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ ᲥᲘᲛᲘᲐ
Ვ. ნ. ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲘᲡᲐ
ᲣᲤ. ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲕᲔᲜᲔᲠ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲗ. ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲨᲘ.
ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ, Კ-ᲜᲘᲡ, ᲡᲘᲤᲘᲚ. ᲡᲘᲛᲐᲠᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲥᲔᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ ᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ
„606“ და „914“ შეშხაპუნება.
ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე, კვირა და უმე დღეების გარდ, სადამოს 4—6 საათამდის. კ.ჩუბინეიეის ქუჩა, № 11.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲐ ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲔᲑᲘ
მცოდნენი რუსულის, ინგლისური და თურქული ენებისა. სამსახური ეძნებათ თფილისის გარეთ. ქალებს არ ლებულობენ. სთხოვენ ნუ გაინ ჯიბინ. ადრესი: ინგლისის შტაბი, სერგეევის ქ. № 9. მიღება დილის 10—2 საათამდე.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ
დღეს 28 მარტს ხუთშაბათ ს სახალხო სახლში საღ. 7 საათზე შესდგება ქ. თფილისის მუშათ დეპუტ ტების საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: ქ. თვითმართველობის მოსამსახურეთა გ ფ ცვა და პროფესიონალური კავშირების საბჭოს დამოკიდებულება მასთან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ძლიერ საჭიროა მეხუთე ეხანაგი წესკელისა და ბერეზის ქარხნის დასასრულებლად. ქარხნის მის წყობათ ჯერ ჯერობით დახარჯულია 60,000 მან. კიდევ სჭირდება 80,000 მ.ნ. მსურველს შეუძლია მ.მ.ართოს სადგურ გრიკალში ვახო თუხარელს. (1—1)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
საოპერო დასი ს. ი. ეკლახიშვილის ხელძღვანელობით.
შაბათს, 29 მარტს, სპიტკოს, ბოლოზოვის, ვრონსკის, ტაბენსკის, მოლჩანოვის, დემიანენკოს მონაწილეობით
ᲜᲐᲦᲕᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ
კვირას, 30 მარტ, დილით „ჩერეზიჩკი“, სადამოს „ტრავიატა“.

ᲨᲝᲣᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲠᲣᲛᲘᲡ ᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲔ
ყოველ დღე გაიძლ ექვს ადგილიანი მაქანები გაიცვალი მოფერეთით. ეგზავრებს ეძლევათ ბანოლ უტეი გარანტია მიყვანილ იქნენ დანიშნულ ადგილზე. ოლდას ქუჩა № 12, ზემელის ოფიციალის პირდაპირ. (5—4)

ᲨᲔᲔᲨᲐ
ყოველ ვარ ზომისა და ჯიშისა ნახრზე ნაკლებ ფასებში იყიდება მხოლოთ ძმ. ზოდელიანების მიერ ახლად გახსნილ საწყობში, ბორჯომის ქუჩა № 15. (6—4)